ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4729541

ნომერი: AR1693118

თარიღი : 29.10.2019

გაცემის თარიღი : 31.10.2019

გაცნობის თარიღი : 31.10.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ჩიქობავას/ტურგენევის ქუჩა N24/11.;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ბენდელიანი პ/ნ 01001029584
- თბილისი გლდანი IIIა მ/რ კორ. 17 ბ. 52

ნომენკლატურა :

- მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (ექსტერიერისა და ინტერიერის სარესტავრაციო, სარემონტო და გაწმენდის სამუშაოები)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. "ისთ გეით გრუპ"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 202908513
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: შ.პ.ს. "ისთ გეით გრუპ"
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 010080001880

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გიორგი ბენდელიანი

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2019 წლის 29 ოქტომბრის AR1693118 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ჩიქობავა/ტურგენევის ქ. N24/11-ში არსებულ შენობაზე მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების ნებართვის გაცემის საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1. ფერის კვლევასა და მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტის განმარტებით ბარათზე არ არის შემსრულებლის ხელმოწერა;

2. ფოტომონტაჟზე არ არის მითითებული ფერის კოდი;
3. ჩასატარებელი სამუშოების კალენდარული გრაფიკის ეტაპებში მითითებულია ხარაჩოების მონტაჟი და დროებითი ღობის მოწყობა; წარმოგდენილი იქნეს გენგეგმა დროებითი ღობისა და ხარაჩოების ჩვენებით; იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ეწყობა საზოგადოებრივ სივრცეში, წარმოდგენილი იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა;
4. თქვენ მიერ წარმოდგენილი ისრირუყლ-არქიტექტურული, ანალიტიკური ინფორმაცია (სახელოვნებათმცოდნეო კვლევა) არ შეესაბამება წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოებს;
5. „დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი“ ველში მითითებული იქნეს შპს „ისთ გეით გრუპის“ დირექტორი დავით დავითიძე .

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება მითითებული ხარვეზების გამოსწორების შემდგომ. ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.